IDS BORJOMI
GEORGIA

ტექნიკური დავალება ბორჯომის ჭაბურღილების საკაპტაჟე შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებაზე

ბორჯომი 2025

ტექნიკური დავალება ითვალისწინებს მოხდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში განლაგებული #143, #144, #39, #153, #129, #123, #124, #124 ა, #131 და 133 მინერალური წყლის მოსაპოვებელ ჭაბურღილებზე განლაგებული საკაპტაჟე ნაგებობების რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ჩამოთვლილი ნაგებობები მოწყობილი იქნა წინა საუკუნის შუა პერიოდში და წარმოადგენენ მეტალის გისოსებით შემოზღუდულ პლატფორმებს საშუალო ზომით: 2 m^2 დან 4 m^2 მდე, რაც ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე სანიტარულ სტანდარტებს. ამის გარდა, აღნიშნულ ჭაბურღილებზე გათვალისწინებულია მოეწყოს მინერალური წყლის მახასითებლების საზომი აპარატურა, რომლის ფუნქციონირებაც საჭიროებს უზრუნველყოფილი იქნეს ტემპერატურული ცვალებადობის დაბალი ციკლურობა და ჰიგიენა. ქვემოთ იხ. ჭაბურღილების ფოტოები და გაბარიტები.



რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებულია მოხდეს ჭაბურღილების გარე ზედაპირის შეფუთვა 50 მმ. სისქის სენდვიჩ-პანელებით, ისე, რომ არ დაირღვეს შეიცვალოს კედლების და სახურავის სიბრტყითი მახასიათებლები. იგულისხმება, რომ ჩაიჭრება ზედმეტი გისოსები და კუთხოვანები და არსებულ დგარებზე დადუღდება სენდვიჩ-პანელის სამონტაჟო გრძივები. გათვალისწინებულია 200 მმ. ბეტონის ცოკოლის ფუძის მოწყობა, რაც იზოლირებულს გახდის სენდვიჩ-პანელებს ზამთრის პირობებში. თითოეულ ნაგებობაზე გათვალისწინებულია მოეწყოს ალუმინის კარები და სავენტილაციო ფანჯარა. შიგნით, იატაკი უნდა მოპირკეთდეს ხელოვნური გრანიტის ფილებით. მოეწყობა ტრაპი. ელექტრო-ფარი და განათება.

დანართის სახით წარმოდგენილია შესასრულებელი სამუშაოების სრული ხარჯთაღრიცხვა (იხ. დანართი).

სამუშაოები საჭიროა შესრულდეს ჭაბურღილების მუდმივ ექსპლუატაციაში ყოფნის პირობებში.

შერჩეულმა მშენებელმა (კონტრაქტორმა) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს თავისი რესურსების მობილიზება, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მაღალი ხარისხით, მოცემული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად. კონტრაქტორმა თავისი რესურსებისა და სამუშაო ძალის გათვალისწინებით უნდა დააზუსტოს სამუშაოთა განხორციელების გრაფიკი და მეთოდოლოგია. აღნიშნული გრაფიკი მოიაზრება, როგორც კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და შესრულებული უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ.

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული და ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2025 წლის მე-3-4 კვარტალში. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომლებიც შეძლებენ სამუშაოების შესრულებას შემჭიდროვებულ ვადებში, თუმცა ვადები არგუმენტირებული უნდა იყოს სამუშაოების შესრულების დეტალური გეგმით.

დამატებითი კითხვების ან დაზუსტებების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ.

ლაშა გვაზავა - lgvazava@borjomi.com შპს IDS ბორჯომი საქართველო,

ვახტანგ შარაშენიძე - vsharashenidze@borjomi.com სს ბორჯომმინწყლები

მისამართი:IDS ბორჯომი საქართველო,

თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N 10

სს ,,ბორჯომმინწყლები“

ბორჯომი, ბარათაშვილის ქუჩა N5

www.borjomi.com